დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2025 წლის 6 თებერვალი**

დისციპლინური საქმე №7/25
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

2025 წლის 3 თებერვალს -- -- დისციპლინური საჩივარი წარადგინა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში, სადაც მიუთითა ყოფილი მოსამართლის -- -- მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- მაისის №-- გადაწყვეტილებით მოსამართლე ლიანა ორკოდაშვილს -- წლის -- მაისიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას და იგი არ წარმოადგენს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ დაიწყებს დისციპლინურ სამართალწარმოებას -- -- მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს მის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი.

შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- უარი ეთქვას 2025 წლის 3 თებერვლის №7 დისციპლინური საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე.

შოთა ქადაგიძე

დამოუკიდებელი ინსპექტორი